ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №3953339

ნომერი: AR1598721

თარიღი : 04.05.2018

გაცემის თარიღი : 14.05.2018

გაცნობის თარიღი : 15.05.2018

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი, დავით აღმაშენებელის ხეივანი, N 104;

დამკვეთი-განმცხადებელი

- დავით ფანქველაშვილი პ/ნ 59001014727
- გორი ვ.პეტრიაშვილის ქ. N 1

ორგანიზაცია:

- შპს ვესტა კოდი: 418465440

ნომენკლატურა :

- განხორციელებული მშენებლობის დადასტურება
- III კლასის ობიექტი

.მშენებლობის ნებართვის რეკვიზიტები.:

- .მშენებლობის ნებართვის ბრძანების ნომერი. : 2217046
- .მშენებლობის ნებართვის ბრძანების თარიღი. : 22.10.2015

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების

წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენს მიერ ატვირთული დოკუმენტაცია და საკითხის განხილვის შედეგად დადგინდა, რომ წარმოდგენილი მასალა არასრულია და არის გარკვეული სახის ხარვეზები (ხარვეზების შესახებ ინფორმაცია მითითებულია შესაბამისი ველების გასწვრივ) კერძოდ:

1. დამატებით წარმოდგენილ იქნას ფოტოსურათები რომელზეც მონიშნული იქნება „ე“ ღერძის გარეთ დამატებული ორფრთიანი და სლაიდური კარი, კონდიციონერები და გამწოვი მილები.

2. "რეკლამის შესახებ" საქართველოს კანონის მე-4 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად "რეკლამა საქართველოს მთელ ტერიტორიაზე ვრცელდება სახელმწიფო ენაზე. ეს მოთხოვნა არ ეხება იმ გადაცემებსა და გამოცემებს, რომლებიც ვრცელდება სხვა ენაზე, აგრეთვე არ ეხება წარწერას საქონლის გამოსახულებაზე, გარდა სასაქონლო ნიშნისა, ხოლო საქართველოში განთავსებული, სხვა ენაზე რეგისტრირებული სასაქონლო (მომსახურების) ნიშნის (ლოგოტიპის) მფლობელს ევალება მისი ტრანსლიტერაციის წესით გადმოცემა ქართულ ენაზე". გამომდინარე აქედან, სარეკლამო აბრაზე წარწერა შესრულებული უნდა იყოს სახელმწიფო ენაზე, ხოლო უცხო ენაზე შესრულებული წარწერა ზემოთ (ყველა შემთხვევაში) და რაოდენობით არ უნდა აღემატებოდეს სახელმწიფო ენაზე შესრულებულ (ტრანსლიტერირებულ) ფორმას. მანათობელი წარწერის შემთხვევაში, ორივე ენაზე შესრულებული (ქართული და უცხოური) წარწერები ერთნაირად უნდა იყოს განათებული.
ზემოაღნიშნულის შესაბამისად მოწყოს სარეკლამო წარწერები.

3. განიმარტოს ვის აქვს ობიექტის სამშენებლოდ განვითარების ინტერესი. იმ შემთხვევაში თუ ობიექტის სამშენებლოდ განვითარების ინტერესი აქვს შპს „ვესტას“ შეცვლილია საფირომო სახელწოდება შპს „ომეგა მოტორ ჯგუფს“ არ დგინდება განმცხადებლის უფლებამოსილება საზოგადოებას ჰყავს ორი დირექტორი და მოქმედი წესდების შესაბამისად დირექტორები ერთობლივად წარმოადგენენ საწარმოს მესამე პირებთან ურთიერთობაში აქედან გამომდინარე საჭიროა წარმოდგენილ იქნეს ლუიზა ზაუტაშვილის მიერ განმცხადებლის სახელზე გაცემული მინდობილობა, რომელიც ითვალისწინებს მინდობილი პირის წარმომადგენლობას სამსახურში ან ლუიზა ზაუტაშვილი დარეგისტრირდეს თანაგანმცხადებლად. საჭიროა წარმოდგენილ იქნეს აღნაგობის საფუძველი ყველა ცვლილებით (სათანადო წესით დამოწმებული) და საჭიროების შემთხვევაში შპს „ლორუსის“ ულებამოსილი პირის მიერ გაცემული თანხმობა. ასევე შესაძლებელია, რომ ულებამოსილი პირი დარეგისტრირდეს თანაგანმცხადებლად. დაცულ იქნეს სერვიტუტი.

თქვენ გეძლევათ 15 დღიანი ვადა მითითებული ხარვეზების გამოსასწორებლად, თუ დადგენილ ვადაში განმცხადებელი არ წარმოადგენს შესაბამის დოკუმენტაციას აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი

გაითვალისწინეთ, თქვენი მხრიდან კვლავ არასრულყოფილი და ხარვეზების შემცველი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემთხვევაში, აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.
- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.